საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3969/01
21/04/2020

3969-01-2-202004211442

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“
მის: ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. №4

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2020 წლის 5 მარტს წარმოდგენილი წერილი (N3957), რომელიც ეხება ტერმინალის მიმდინარე საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის (გნა) საცავების ექსპლუატაციის პირობების ცვლილება - მიღების და გადატვირთვის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში გარკვეული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას.

დაზუსტებას საჭიროებს N92 სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი შემდეგი საკითხები:

- პროექტის მიხედვით დამონტაჟდება თხევადი აზოტის ახალი, უფრო მეტი სიმძლავრის დანადგარი. დაზუსტებას საჭიროებს თხევადი აზოტის არსებული და საპროექტო დანადგარის შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, რეკონსტრუქციას დაექვემდებარება და განახლდება გნა-ს სარეზერვუარო პარკებში და ნავმისადგომებზე დაგაზიანების კონტროლის სისტემები, რასთან დაკავშირებითაც არ არის აღწერილი რა სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოებია დაგეგმილი, რაც საჭიროებს დაზუსტებას.
- წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტში:

- პროექტში მოცემულია გაფრქვევების ანგარიში 5x5000 მ3 მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავი რეზერვუარებიდან, მაშინ როცა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი მსგავსი უბნის დამატებას არ ითვალისწინებს;
- დოკუმენტში მოცემულია უახლოეს მოსახლემდე მანძილი, ასევე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობრივი და გაბნევის ანგარიშები მთლიანად ტერმინალისთვის. ვინაიდან წარმოდგენილი პროექტი ეხება გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირის საცავების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, საჭიროა დოკუმენტში დაკონკრეტდეს უახლოეს მოსახლემდე მანძილი საპროექტო ტერიტორიიდანაც და შესაბამისი საკონტროლო წერტილი გათვალისწინებულ იქნეს გაბნევის ანგარიშშიც.

ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტში:

- წარმოდგენილ ანგარიშში დასაზუსტებელია შპს „სიგმატიქსისთვის“ იჯარით გადაცემული ტერიტორიის ფართობი, ვინაიდან 2019 წლის 28 ივნისს სამინისტროსთან შეთანხმებულ ზდჩ-ის ნორმების მიხედვით აღნიშნული ფართობი შეადგენს 3400 $მ^2$-ს, ხოლო წარმოდგენილ ზდჩ-ის ნორმების პროექტში - 4300 $მ^2$ (გვ.6, 16).
- ჩაშვების წერტილი #1 (ნავმისადგომის უბანი) - დასაზუსტებელია რამ გამოიწვია ჩამდინარე საწარმოო-სანიაღვრე წყლების წლიური რაოდენობის ცვლილება;
- ჩაშვების წერტილი #3 (თხევადი გაზის უბანი)- ჩამდინარე წყლების ჩაშვების ნორმების ცხრილიდან ამოსაღებია პირობითად სუფთა წყლის კონცენტრაციები.
- 2.1.1. ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები, საწარმოო უბნების ფართობების შესახებ არ შეესაბამება 2019 წლის 28 ივნისს სამინისტროსთან შეთანხმებულ ზდჩ-ის ნორმებში არსებულ მონაცემებს;
- იმ შემთხვევაში, თუ მოხდება პირობითად სუფთა წყლების დაბინძურება , დაზუსტებას საჭიროებს იქნება თუ არა გამწმენდი ნაგებობის გამტარუნარიანობა და გაწმენდის ეფექტურობა საკმარისი ზემოაღნიშნული წყლების გასაწმენდად;
- გაურკვეველია და დაზუსტებას საჭიროებს პირობითად სუფთა წყლების მონიტორინგის საკითხი;
- ზდჩ-ის ანგარიშში სიტყვა „ნორმატივის“ ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს სიტყვა „ნორმა”, ხოლო გვ.114,115 შესაცვლელია სამინისტროს სახელწოდება.

- დაზუსტებას და შესწორებას საჭიროებს ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდის ბაზის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი, ვინაიდან 2019 წლის 28 ივნისს სამინისტროსთან შეთანხმებულ ზდჩ-ის ნორმების პროექტში და გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ ზდჩ-ის პროექტში სხვადასხვა თარიღებია მითითებული.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიზე თანდართული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტებში გასასწორებელია

ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ ნორმების მოქმედების ვადად 2020-2024 წლების ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 2020-2025 წლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე